

განმარტება

2023 წლის 30 აგვისტოს, გელათის დროებითი რეაბილიტაციის კომიტეტმა კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ჯგუფს გადასცა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის N 005757123 დასკვნა, რომელიც შეეხება „გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების კამარისა და აფრების კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა - დოკუმენტაციის“ ანგარიშს.

დასკვნაში წარმოდგენილია შენიშვნები, რომელიც შეეხება დაზიანებათა გრაფიკულ დოკუმენტაციას. სამხარაულის ეროვნული ბიუროს შენიშვნების საფუძველზე გრაფიკული დოკუმენტაცია საკონსერვაციო ჯგუფის მიერ დაკორექტირდება გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა-დოკუმენტაციის (საველე სამუშაოების) მომდევნო ეტაპზე.

შესაბამისად, 2023 წლის 31 აგვისტოს წარმოგიდგენთ 2023 წლის აპრილი-მაისის ზემოთ ხსენებული დოკუმენტის პირველ ოთხ თავს (1. კონტექსტი, 2. მიზანი და მეთოდოლოგია, 3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება, 4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი) უცვლელად, ხოლო ნალესობის, ფერწერისა და მარილების გრაფიკული დოკუმენტაციის მაგალითებს (დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის სცენები - საიდუმლო სერობა და ფერხთა ბანა) მდგომარეობის ასახვის პრინციპის საილუსტრაციოდ.

31.08.2023



გელათის სამონასტრო კომპლექსის
ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის

მთავარი სივრცის
ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების
კამარისა და აფრების

კედლის მხატვრობის მდგომარეობის
აღწერა - დოკუმენტაცია

დამკვეთი:
საქართველოს საპატრიარქო

2023



წინაპირობა	გვ. 3
1. კონტექსტი	გვ. 4
2. მიზანი და მეთოდოლოგია	გვ. 8
3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება	გვ. 12
4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი	გვ. 18
5. მდგომარეობის გრაფიკული დოკუმენტაცია	გვ. 102

ნალესობის ფენის დაზიანებათა რუკა

ფერწერული ფენის დაზიანებათა რუკა

მარილების დაზიანებათა რუკა

კრიტიკული არეალების რუკა



წინაპირობა

საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის 2023 წლის 24 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე, 2023 წლის 6 აპრილს, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლითაც გელათის სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სხვა საჭირო სამუშაოებს საქართველოს საპატრიარქო განახორციელებს.

საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, პირველი ეტაპის სამუშაოდ გაიწერა გელათის სამონასტრო კომპლექსის ტაძრების მხატვრობების ამჟამინდელი მდგომარეობის დეტალური აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოთა შესრულების აუცილებლობაზე რეკომენდაცია გაცემულია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS-ის და ICCROM-ის მიერ 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე განხორციელებული მისიის ანგარიშში.

ანგარიშის მეთერთმეტე რეკომენდაცია ამბობს: “კედლის მხატვრობის და მოზაიკის გადაუდებელი და საშუალოვადიანი შენარჩუნების დეტალური პროექტის შემუშავებამდე, აუცილებელია არსებული საკონსერვაციო მდგომარეობისა და ეკლესიის მთლიანი ინტერიერის მოხატულობის დაზიანებების დეტალური სქემის შექმნა.”

წყარო 1: საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, განცხადება, 6 აპრილი 2023

წყარო 2: მსოფლიოს მემკვიდრეობის ძეგლ „გელათის მონასტერში“ (საქართველო) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ იკომოსის/ იკრომის ერთობლოვი საკონსულტაციო მისიის ანგარიში, 2022, გვ. 22

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს საპატრიარქომ შეადგინა კულტურული მემკვიდრეობის კონსერვატორ-რესტავრატორთა ჯგუფი, რომლის მიზანს, პირველ ეტაპზე, წარმოადგენს გელათის სამონასტრო კომპლექსში, ღვთისმშობლის შობის ტაძრის, მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრის (კამარის) და აფრების კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა-დოკუმენტაცია.

კონსერვატორ-რესტავრატორთა ჯგუფის წევრები:

ლელა ნინოშვილი	მარიამ საღარაძე
ერეკლე ნაროუშვილი	სოფიო მიქაბერიძე
კახაბერ ჩხაიძე	ელა სააკიანი
	ეთერ თოლორაია

გელათში ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელდა **2023 წლის 10 – 15 აპრილს,**

ხოლო საოფისე სამუშაოები განხორციელდა **2023 წლის 16 აპრილი - 15 მაისის პერიოდში.**

1. კონტექსტი

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გელათის სამონასტრო კომპლექსი შედგება შემდეგი ნაგებობებისგან:

- ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი
- წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი
- წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი
- სამრეკვლო
- აკადემია
- სამხრეთის კარიბჭე (დავით IV საფლავი)
- აღმოსავლეთის კარიბჭე
- ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სახლი
- ხის სახლი
- გალავანი
- არქეოლოგია



ზემოთ: გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი წმ. გიორგის სახელობის ტაძარი (მარცხნივ), ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (შუაში), სამრეკვლო (მარჯვნივ), ფოტო 2020 წელი.




ზემოთ: გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი აკადემია (მარცხნივ), წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი (მარჯვნივ), ფოტო 2020 წელი.

წყარო: <https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=8550>



ზემოთ: გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი სამხრეთის კარიბჭე (დავით აღმაშენებლის საფლავი), ფოტო 2020 წელი.



მარცხნივ: სამხრეთის კარიბჭე, ინტერიერის მოხატული ფრაგმენტები, ფოტო 2020 წელი.



1. კონტექსტი

გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ისტორიული ნაგებობებიდან:

ჩამოთვლილთაგან კედლის მხატვრობას ვხვდებით:

- ✓ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის:
 - მთავარ სივრცეში (XII-XVIII)
 - სამხრეთ და ჩრდილოეთ მინაშენებში (XIII-XVII და XII)
 - ნართექსში (XII, XIV, XVI, XVII)
 - ჩრდილოეთის და სამხრეთის კარიბჭეების ფასადზე

- ✓ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის:
 - მთავარ სივრცეში (XVI)
 - სამხრეთ-დასავლეთ მინაშენში (XIII)

- ✓ დავითის კარიბჭეში (ფრაგმენტულად)



ზემოთ: ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცე, საკურთხევის მოზაიკა და მხატვრობა, ფოტო 2020 წელი.



ზემოთ: ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნართექსი, კედლის მხატვრობა, ფოტო 2020 წელი.



ზემოთ: წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დასავლეთ მკლავისა და გუმბათის მოხატულობა, ფოტო 2023 წელი.

მარცხნივ: წმ. გიორგის სახელობის ტაძრის საკურთხევის მოხატულობა.



1. კონტექსტი

გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ნაგებობებს, მათ შორის ღვთისმშობლის შობის ტაძარს, ისტორიულად ჰქონდა არქიტექტურასა და კედლის მხატვრობასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებით აღსანიშნავია გადახურვისა და ღიობების პრობლემა, რამაც იქონია დიდი გავლენა ფასადის ქვისა და ინტერიერის კედლის მხატვრობის მდგომარეობაზე.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში 2015-2019 წლებში ხარვეზებით განხორციელებულმა სარეაბილიტაციო პროცესებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა კედლის მხატვრობის ამჟამინდელ მდგომარეობაზე.

ტაძარის გადახურვის 4-წლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სახურავიდან ინტერიერში წყლის ჩადინება მოხდა, მეტიც, მთავარი სივრცის დასავლეთ მკლავში წყლის ჩაჟონვა 2020 წლის აგვისტომდე მიმდინარეობდა. შედეგად მძიმედ დაზიანდა მთავარი ტაძრის ინტერიერის მოხატულობა, კერძოდ მკლავების ზედა რეგისტრები (კამარა და აფრები). განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობამდე მივიდა დასავლეთი მკლავის ზედა რეგისტრის მხატვრობა.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო გელათის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებისა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი. აკვირდებოდა დაზიანებათა პროგრესს და აწარმოებდა შესაბამის ფოტო და ტექსტურ დოკუმენტაციას (მათ შორის, ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის ტაძრების ფასადებსა და ინტერიერში). აღნიშნული ტიპის მონიტორინგი 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა.

2021 წლის 22 - 28 ივნისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით, გელათის მონასტერში (ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი) მოეწყო პირველი საერთაშორისო მისია, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, არქიტექტურული პრობლემატიკის კვლევას - წყლის ინფილტრაციის მიზეზების წინასწარული მოსაზრებების წარდგენას და წყლის შეღწევისგან დაცვის აუცილებელი რეკომენდაციების მომზადებას; ხოლო მეორეს მხრივ, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის მხატვრობის მდგომარეობისა და ტექნოლოგიის შეფასებას, ასევე დაზიანებების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრას და საჭირო გადაუდებელი ჩარევებისთვის რეკომენდაციებს.

აღნიშნული მისიის ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული საკონსერვაციო მეთოდოლოგიით 2021 წელსა და 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით იტალიელი და ქართველი რესტავრატორების მიერ კედლის მხატვრობის სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევები ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარ სივრცეში, კერძოდ დასავლეთ მკლავსა და ნაწილობრივ ჩრდილოეთი მკლავის ზედა რეგისტრებზე განხორციელდა.

2022 წლის სექტემბრის შემდგომ კედლის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოები შეწყდა. საქართველოს საპატრიარქოს ინიცირებით 2022 წლის ოქტობრიდან აღდგა კედლის მხატვრობის რეგულარული მონიტორინგი და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. ამ ეტაპზე განხორციელებულია 3 მონიტორინგი (31.10.2022; 27.12.2022; 09.03.2023).


1. კონტექსტი

2023 წლის აპრილის მონაცემებით ღვთისმშობლის შობისა და წმ. გიორგის ტაძრების სახურავი (გუმბათების გარდა) დროებით გადახურვაშია მოქცეული (იხილეთ მარჯვნივ მოცემული ფოტოები).


გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის დაზიანებული სცენების მაგალითები (იხილეთ ქვემოთ მოცემული ფოტოები).



ზემოთ: ღვთისმშობლის შობის ტაძარი, დროებითი გადახურვა, ფოტო 2023.




ზემოთ: წმ. გიორგის ტაძარი, დროებითი გადახურვა, ფოტო 2023.




კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო

ზემოთ: ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობა. დასავლეთი მკლავი, ფერხთა ბანა. მხატვრობის ისტორიული დაზიანებები. ფოტო 2017 წელი.



ზემოთ: ღვთისმშობლის შობის ტაძრის კედლის მხატვრობა. დასავლეთი მკლავი, ფერხთა ბანა. 2017 წლის შემდგომი დაზიანებები, ფოტო 2023 წელი.



ზემოთ: წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დაზიანებული კედლის მხატვრობა. სამხრეთი კედელი, ქტიტორების გამოსახულება, ფოტო 2020 წელი.



ზემოთ: წმ. გიორგის სახელობის ტაძრის დაზიანებული კედლის მხატვრობა. სამხრეთი კედელი, ქტიტორების გამოსახულება, ფოტო 2023 წელი.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

წინათქმა

გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო კვლევის საბაზისო ეტაპს წარმოადგენს კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა-დოკუმენტაცია.

სამონასტრო კომპლექსში არსებული კედლის მხატვრობის მასშტაბიდან გამომდინარე, განისაზღვრა პრიორიტეტული ლოკაციები და სამუშაოები გადანაწილდა ეტაპებად.

პირველი ეტაპის სამუშაოთა ლოკაციად განისაზღვრა

➤ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრი (კამარის დონე, აფრები).

აღნიშნულ ლოკაციებს პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგი მიზეზებით:

- ✓ დაზიანებათა მაღალი ხარისხი და მათი აქტიურობა - სახურავიდან ჩასულმა წყალმა კედლის მხატვრობა მძიმედ დააზიანა. დაზიანებათა პროგრესი მიმდინარეა.
- ✓ განხორციელებული სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევების მასშტაბი და მეთოდოლოგია - ამ ლოკაციებში შესრულდა ფართომასშტაბიანი სარისკო პირდაპირი ჩარევები/ფიზიკური სამუშაოები.

იხილეთ ანგარიშები:

იკომოს საქართველოს 2022 წლის 31 ოქტომბრის მისია საქართველოს საპატრიარქოს 2022 წლის 27 დეკემბრის მისია საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 9 მარტის მისია

პროექტის მიზანი

პროექტის პირველი ეტაპის მიზანია ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის, მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრის (კამარის დონე, აფრები) კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

პროექტის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენს:

- ✓ კედლის მხატვრობის დაზიანებათა განსაზღვრა
- ✓ კედლის მხატვრობის ვიზუალური ლექსიკონის შედგენა და ფოტო დოკუმენტაცია
- ✓ კედლის მხატვრობის დაზიანებათა გრაფიკული სქემების შედგენა
- ✓ კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

შენიშვნა: ამ ეტაპზე, მისიის მიზანს არ წარმოადგენს მე-20 საუკუნისა და 2020-იან წლებში კედლის მხატვრობაზე განხორციელებული ჩარევების იდენტიფიცირება და მათი ადგილმდებარეობების განსაზღვრა.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად განისაზღვრა მეთოდოლოგია.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მთავარი სივრცის ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი მკლავების ზედა რეგისტრის, ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი აფრების კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღწერა-დოკუმენტაციის შედგენის პრინციპები და სამუშაო ჯგუფის მეთოდოლოგია:

1. კედლის მხატვრობის დაზიანებათა გამოვლენა, სტრატეგრაფიული ფენებისა და დაზიანებათა ტიპების/ქვეტიპების მიხედვით კატეგორიზაცია.

მდგომარეობის აღწერაში შევიდა მექანიკური დაზიანებები (მაგ. საღებავის ფენის ჩამორეცხვა) და დაზიანებები, რომლებიც დეგრადაციას განიცდის, გაუარესების პროცესშია (მაგ. ფერწერის ფენის აქერცვლა, შელესილობის ფენის გაფხვიერება).

➤ **დაზიანების აღწერის სტრუქტურის მაგალითი:**

სტრატეგრაფიული ფენა: ფერწერული ფენა

დაზიანების დასახელება: ადჰეზიური კავშირის დაკარგვა

დაზიანების ტიპი: აქერცვლა

განსაზღვრება: ფერწერული ფენის საფუძვლისგან მოცილების, განცალკევების პროცესი, რომელიც ამ ფენებს შორის შეკავშირების/მოჭიდების/ადჰეზიური ფუნქციის დაკარგვის შედეგია.

დაზიანების შესაძლო კავშირები/მიზეზები: მარილების აქტივობა/ არასტაბილური კლიმატური პირობები

გავრცელება: ჩრდილოეთი მკლავის სამხრეთი კედელი

➤ **დაზიანებაზე დაკვირვება და მისი გამოვლენის პრინციპი/მეთოდოლოგია**

• დაზიანებათა კრიტერიუმების განსაზღვრა

• კრიტერიუმებზე დაყრნობით ვიზუალური დაკვირვებითა და მანუალური ტექნიკით დიაგნოსტიკა:

➤ ვიზუალური დაკვირვება - პირდაპირი და გვერდითი ხელოვნური (LED) განათების (ფანრის) გამოყენებით, ულტრაიისფერი განათებით (ფანრით).

➤ მიკროსკოპული დაკვირვება - პორტატული მიკროსკოპის გამოყენებით პირდაპირი, გვერდითი და ულტრაიისფერი ნათებით კედლის მხატვრობის სტრატეგრაფიული ფენების მიკროსკოპულ დონეზე მდგომარეობის განსაზღვრა.

➤ მანუალური ტექნიკა - კედლის ზედაპირზე ხელის მსუბუქი მექანიკური ზემოქმედებით (მათ შორის კაკუნის მეთოდით) ნალესობის დაზიანებათა ტიპის დადგენა.



2. მიზანი და მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია

2. კედლის მხატვრობის ფოტო დოკუმენტაცია

კედლის მხატვრობის ფოტო-ფიქსაცია განხორციელდა ორი ძირითადი მიზნით:

- ვიზუალური ილუსტრაციისთვის, რომელიც ვიზუალურ ლექსიკონში კედლის მხატვრობის დაზიანების ზუსტი იდენტიფიკაციისთვის არის საჭირო
- გრაფიკული დოკუმენტაციისთვის, რომელიც დაზიანებათა სქემატურ დატანაში ადგილმდებარეობისა და მასშტაბის მაქსიმალურ სიზუსტეს იძლევა.

ფოტო გადაღებისთვის შედგა პროტოკოლი:

დაზიანებათა ფოტო-ფიქსაციისთვის ფოტოების გადაღება მოხდა:

- Nikon D5600 – კამერით
- Yongnuo YN-560 IV Flash Speedlite - ხელოვნური განათებით

White balance გასწორდა ექსპო დისკის გამოყენებით ხოლო აპარატის სტანდარტულ მონაცემებად განისაზღვრა:

გადაღების რეჟიმი: Manual

- Shutter speed - 1/60;
- F stop – 8;
- ISO - 100;

ფოტოების გადაღება მოხდა პირდაპირი და გვერდითი განათებით, ასევე მასშტაბის მითითებით.

ანგარში მოცემული ფოტო დოკუმენტაცია გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას:


- ფოტოს ადგილმდებარეობა
- გადაღების თარიღი
- ფოტოს ანოტაცია/ რას ასახავს ფოტო
- ფოტოს მასშტაბი

შენიშვნა: ფოტოზე თანდართული მასშტაბი მითითებულია ზომის საორიენტაციოდ, თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე სანტიმეტრიანი ცდომილება, რომელიც დახრილი ზედაპირების რაკურსიდან გამომდინარეობს.

გრაფიკული დოკუმენტაციისთვის ფოტოს გადაღება მოხდა:

Nikon-ის სერიის აპარატიდან - D90
გადაღების რეჟიმი: Auto + Camera Flash

ფოტოები დამუშავდა პროგრამულად - ფოტოგრამეტრიის ტექნიკის გამოყენებით, რამაც მაღალი ხარისხის სივრცული ფოტოები შექმნა.



მარცხნივ:
ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთი მკლავის კამარის ცენტრალური სცენა. ფოტოგრამეტრიის პროგრამით ფოტოს დამუშავების პროცესი.

2. მიზანი და მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია

3. კედლის მხატვრობის დაზიანებათა გრაფიკული დოკუმენტაცია

გრაფიკული დოკუმენტაციის მიზანია წარმოაჩინოს

- დაზიანებათა ზუსტი ადგილმდებარეობა
- დაზიანებათა მასშტაბი
- დაზიანებათა ურთიერთკავშირი


გრაფიკული დოკუმენტაციის მომზადება მოხდა AutoCad-ის პროგრამის გამოყენებით.

წყვილში მომუშავე კონსერვატორ-რესტავრატორებიდან ერთი კედელზე აკვირდებოდა დაზიანებას და მისი გავრცელების არეს, ხოლო მეორე კომპიუტერში სქემატურად ინიშნავდა მოწოდებულ ინფორმაციას.

გრაფიკულ დოკუმენტში მოცემულია:

- პროექტის დასახელება, შესრულების თარიღი
- სცენის ფოტო და მასშტაბი
- სცენის ფოტოზე დატანილი დაზიანებების ნიშნულები
- ლეგენდა: კატეგორიებად დაყოფილი დაზიანებათა გამომსახველი ნიშნულები
- წარდგენილი სცენის/კედლის ადგილმდებარეობის ტექსტური აღნიშვნა და სქემატური დატანა გეგმაზე

შენიშვნა: ანგარიშში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საპატრიარქოსთვის გადმოცემული 2017-2018 წლების ფოტო მასალა და ტაძრის ნახაზები.



ზემოთ: გრაფიკული დოკუმენტის მაგალითი. ღვთისმშობლის შობის ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი - საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენები, რომელზეც დატანილია მარილების სახეობები და მათი გავრცელების ადგილმდებარეობა და მასშტაბი.

3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარების და მიმდებარე კედლის მხატვრობის მდგომარეობის ზოგადი შეჯამება

შესავალი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარების, ასევე კამარების მიმდებარე კედლების და აფრების მხატვრობის მდგომარეობა მძიმეა. გვხვდება, როგორც ისტორიული, ისე ახალი დაზიანებები, რაც დაკავშირებულია არა მარტო საუკუნეების მანძილზე ნაგებობის არქიტექტურულ პრობლემებთან, არამედ 2016-2018 წლებში სახურავის რეაბილიტაციის დროს (დასავლეთი მკლავის შემთხვევაში 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით) სახურავიდან ინტერიერში წყლის ინფილტრაციასთან, არასტაბილური კლიმატური პირობების ზემოქმედებასთან, მხატვრობის ორიგინალ ტექნოლოგიასთან და კედლის მხატვრობაზე (2021-22 წლებში) განხორციელებულ სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევებთან.

კედლის მხატვრობის მდგომარეობის ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ მხატვრობაზე არსებული დაზიანებები არათანაბარი სიმძიმით და გავრცელების ხარისხით თითქმის ყველა სცენას მოიცავს, თუმცა დაზიანებების ყველაზე დიდი მასშტაბი დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის ზედა ორ კომპოზიციაზე (საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენებზე), ჩრდილო-დასავლეთ აფრასა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ (მირქმა) და აღმოსავლეთ (ლაზარეს აღდგინება) სცენებზე იკვეთება.

დაზიანების ტიპების ჩამონათვალი

ვიზუალური შესაწავლის საფუძველზე გამოკვეთილი საკვლევი არეალის დაზიანებათა ძირითად ტიპებს წარმოადგენს:

- საფუძვლის ფენის - დულაბის დანაკარგი, ქვის გაფხვიერება, ქვის ბზარები;
- ნალესობის ფენის - დანაკარგი, გაფხვიერება, განშრევა, ამოტეხვები და ბზარები;
- ფერწერული ფენის - დანაკარგები, გაფხვიერება და ფენებს შორის კავშირის კარგვა, საღებავის ფენის ჩამორეცხვა;
- ბიოლოგიური აქტივობა
- ზედაპირული დაბინძურება
- გამომარიღება



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

დაზიანებათა გავრელების მასშტაბი

ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის/ დაზიანებათა რუკის ანალიზის შედეგად გავრელების მასშტაბის მიხედვით კედლის მხატვრობის დაზიანებების ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყო:

1. ფართოდ გავრცელებული დაზიანებები - დაზიანებები, რომელიც ვრცელდება საკვლევი სივრცის კედლის მხატვრობაზე და მასშტაბურად ფარავს არეალებს
2. ლოკალურად გავრცელებული დაზიანებები - დაზიანებები, რომელიც ლოკალურად, კონკრეტულ ლოკაციებზე ვლინდება.

ფართოდ გავრცელებული დაზიანებებია:

- მცენარეული ჩანართის ამოტეხვები, ბადისებრი ბზარები
- გამომარილება
- ნალესობის გაფხვიერება, ფერწერული ფენის გაფხვიერება (განსაკუთრებულად ლურჯი ფერის, ხოლო გამომარილების ადგილებში უმეტეტსად წითელი და ყვითელი ფერები) და აქერცვლა
- ნალესობისა და ფერწერის ფენების სრული და ნაწილობრივი დანაკარგი, როგორც ისტორიული ისე ახალი დანაკარგები.

ლოკალურად გავრცელებული დაზიანებები:

- ბიოლოგიური აქტივობა
 - შავი ნადები, რომელიც დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, კამარის სამხრეთ ნაწილზე და ჩრდილოეთი მკლავის კამარაზე ლოკალურ ფიქსირდება
 - ვარდისფერი ლაქები, რომელიც წერტილოვანი დაჯგუფებების სახით ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მირქმის სცენაზე) ფიქსირდება ლოკალურად
- ნალესობის ფენის განშრევება (ღია და დახურული), რომელიც ლოკალურად სამივე მკლავში, აფრებსა და აფრებს შორის თაღებში ფიქსირდება
- ფერწერული ფენის ბურცვა, რომელიც ლოკალურად, მცირე მონაკვეთებზე თითქმის ყველა სცენაზე გვხვდება
- საღებავის ფენის ჩამორეცხვა, რომელიც ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ (მირქმის სცენაზე) და აღმოსავლეთ (ლაზარეს აღდგინების სცენა) კედლებზე, ასევე დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე (ფერხთა ბანის სცენაზე) ფიქსირდება.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

დაზიანებათა ურთიერთკავშირი

ვიზუალური დაკვირვებისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, შემდეგი დაზიანებების ურთიერთკავშირი:

- ✓ ნაღესობის გაფხვიერება, ფერწერული ფენის გაფხვიერება და აქერცვლა, ასევე კედლის მხატვრობის დანაკარგები დაკავშირებულია გამომარილების პრობლემასთან
- ✓ ფერწერული და ნაღესობის ფენის მცირე ზომის დანაკარგები უკავშირდება მცენარეული ჩანართის ამოტეხვებს
- ✓ ნაღესობის ფენის განშრევების პრობლემა ურთიერთკავშირშია კონტურულ ბზარებთან, ნაწილობრივ ან/და სრულ დანაკარგებთან და დეფორმაციასთან.

დაზიანებასა და ტექნოლოგიას შორის შესაძლო ურთიერთკავშირი:

- ✓ ნაღესობის ფენის ბადისებრი ბზარები დაკავშირებულია ნაღესობის ტექნოლოგიასთან, ხოლო ღრმა ბზარები არქიტექტურის სტრუქტურასთან (კედლების ბმებსა და ქვის წყობასთან)
- ✓ ფერწერული ფენის (მაგ. ლურჯის) გაფხვიერება შესაძლოა უკავშირდებოდეს მასალის დაზიანებისკენ მიდრეკილ ბუნებას
- ✓ ნაღესობის ამოტეხვები, ფერწერული ფენის დანაკარგი და აბურცვა ურთიერთკავშირშია ბათქაშის ტექნოლოგიაში გამოყენებული ნამჯის ამოცვენასთან.

ბიოაქტივობის ურთიერთკავშირი სხვა დაზიანებასთან ან/და ტექნოლოგიასთან, ამ ეტაპზე, არ გამოვლენილა.

გამომარილების მიმოხილვა

მხატვრობის დაზიანების კონტექსტში ხაზგასმით აღსანიშნავია გამომარილების ფენომენი (კედლის სტრუქტურულიდან ზედაპირზე მარილის გამოკრისტალეების პროცესი). გამომარილების ინტენსივობა და გავრცელების ადგილები მოიცავს სამივე მკლავის ზედა რეგისტრის (კამარის დონის) ზედაპირებს, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრებსა და აფრებს შორის თალებს.

გამომარილება 4 ძირითადი სახით გვხვდება*. აქედან, ახლად გამოკრისტალეებული მარილების ფართომასშტაბიანი გავცელება დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ფერხთა ბანისა და საიდუმლო სერობის სცენებზე იკვეთება. აღსანიშნავია, ჩრდილოეთი მკლავის კამარის ცენტრალური და აღმოსავლეთი კედლის სცენა (ლაზარეს აღდგინება). ამ სცენასა და ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე და მის მიმდებარე არეებში სხვადასხვა ტიპის მარილები ერთად საკმაოდ დიდი მასშტაბითა და ინტენსივობით არის გავრცელებული. თითქმის ყველა იმ ლოკაციაზე, სადაც გამომარილებაა ვხვდებით ფერწერული (გაფხვიერება/აქერცვლა/დანაკარგი) და ნაღესობის (გაფხვიერება, ნაწილობრივი დანაკარგი) ფენების დაზიანებებს. სტრუქტურის შიდა გამომარილებას (ფენაში და ფენის ქვეშ კრისტალიზაციის პროცესი) უნდა უკავშირდებოდეს ნაღესობის ფენის განშრევება და ფერწერის ფენის ბურცვაც.

* 1. ნაფიფქი - ახლადგამოკრისტალეებული მარილი; 2. წერილოვანი კრისტალიზაცია - შედარებით მყარი და ხანდაზმული მარილი; 3. ქერქი - მარილის მყარი ნადების ფენა, შედარებით ხანდაზმული; 4. თეთრი ლაქები - ძველი, სტრუქტურაში კარგად ჩამჯდარი მყარი ნაწილაკები.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

ნალესობის ფენის მდგომარეობის მიმოხილვა

საკვლევ არეებზე ნალესობის მდგომარეობა უმეტესად არასტაბილურია, ფიქსირდება კრიტიკული მონაკვეთებიც, რაც ძირითადად ნალესობის ფენის გაფხვიერებასა და ლოკალურად განშრევაში გამოიხატება. გაფხვიერება უმეტესად ვლინდება დასავლეთი მკლავის კამარაზე და მის მიმდებარე სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე, ასევე ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მონაკვეთებში, სადაც 2021 - 2022 წლებში განხორციელდა საკონსერვაციო ჩარევა).

ნალესობის საყურადღებო მონაკვეთებია განშრევაბული ადგილები, სადაც ნალესობის და საფუძვლის ფენის ან/და ნალესობის ფენებს შორის კავშირის კარგვა ან შესუსტება შეინიშნება. ასეთი არეალები მრავლად გვხვდება დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედლის, ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედლის და დასავლეთით აფრების მიმდებარე მონაკვეთებში.

ნალესობის დაზიანების ტიპებიდან ხაზგასასმელია მცირე ზომის ამოტეხვები (ორგანული ჩანართის/მცენარეული ბოჭკოების კარგვა), რომელიც მასიურად გვხვდება მოხატულობის დიდ მონაკვეთებზე, უმეტესად ნალესობის გაფხვიერებასთან ერთად.

ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა ზომის ისტორიული და ახალი დანაკარგები (როგორც სრული, ისე ნაწილობრივი).

საგულისხმოა ნალესობის ღრმა ბზარები, რომელიც ფიქსირდება დასავლეთი მკლავის დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების მიჯნაზე.

დასავლეთი მკლავის კამარის დასავლეთ კიდეში სიგრძეში შედარებით მოკლე დიაგონალური მიმართულების ბზარებია განვითარებული.

შედარებით წვრილი და ზედაპირული ბზარებია დასავლეთი მკლავის კამარის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელშიც ბზარები ძირითადად განივი მიმართულებით კვეთს ნალესობის ზედა შრეებს.

ასევე ერთი შედარებით ღრმა ვერტიკალური ბზარია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, იუდას ამბორის სცენა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

ფერწერული ფენის მდგომარეობის მიმოხილვა

ნალესობის მსგავსად არასტაბილური მდგომარეობა ფიქსირდება ფერწერულ ფენზეც. მეტიც, კრიტიკული მდგომარეობის მქონე ლოკაციების მასშტაბი შედარებით დიდია. ფერწერული ფენის დაზიანების ტიპებიდან მოხატული ზედაპირის საკმაოდ ფართო მონაკვეთებზე ვლინდება ფერის ფენის აქერცვლა და გაფხვიერება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დაზიანებათა ხარისხი/სიმძიმე არათანაბრად არის გავრცელებული. გვხვდება კონკრეტული მონაკვეთები, სადაც ვხვდებით ფერის ფენის აბურცვებს, ნალესობის ფენასთან კავშირის შესუსტებას ან/და კარგვას. თითქმის თანაბარი მასშტაბით არის გავრცელებული ფერწერის დანაკარგებიც, ვხვდებით ფერწერის, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევებს.

მხატვრობაზე დარჩენილი საკონსერვაციო მასალები

საყურადღებოა მხატვრობის ის მონაკვეთები, სადაც უკანასკნელი საკონსერვაციო/სარესტავრაციო (2021-22 წელი) სამუშაოს ფარგლებში ვერ მოხერხდა დაგეგმილი სამუშაოს დასრულება (დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედელი (ლოცვა გეთსიმანიაში) და აფრებშორისი თალი). მოხატულობის ამ არეალზე ვხვდებით ნალესობის ფენის დროებითი ფიქსაციისთვის გამოყენებულ საიზოლაციო ქაღალდს და სპეციალურად ინექტირებისთვის გაკეთებულ მცირე ზომის, თუმცა მრავლობით ნახვრეტებს.

შენიშვნა: ამ ეტაპზე, მისიის მიზანს არ წარმოადგენს 2020-იან წლებში კედლის მხატვრობაზე განხორციელებული სხვა ჩარევების იდენტიფიცირება და მათი ადგილმდებარეობების განსაზღვრა.

შეჯამება

კედლის მხატვრობის მდგომარეობის ვიზუალური შესწავლისა და გრაფიკული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კედლის მხატვრობის არასტაბილური მდგომარეობა, რომლის გავრცელების მასშტაბი დიდია და მოიცავს დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარების და მიმდებარე არეების მხატვრობას. აღნიშნულ ნაწილებში მხატვრობაზე აღინიშნება როგორც მძიმე, ისე ნაკლები სიმძიმის მქონე დაზიანებები. დაზიანებების უმეტესობა აქტიურია, მიმდინარეობს დაზიანების გაუარესების პროცესი.

მხატვრობის დაზიანებებს შორის იკვეთება მკაფიო ურთიერთკავშირები. ხშირია ისეთი შემთხვევები, სადაც ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე ორი ან მეტი სხვადასხვა ტიპის დაზიანებაა გავრცელებული. ასევე ხშირია ნელესობის და ფერწერული ფენების დაზიანების ერთმანეთთან კორელაცია.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველგან, როგორც ნალესობის, ისე ფერწერული ფენის დაზიანებებში, ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი ფაქტორი გამომარჩილებაა. მარილის მუდმივი მოქმედება აჩქარებს, როგორც ნალესობის გაუარესებას, ისე ფერწერული ფენის აქერცვლის თუ გაფხვიერების პროცესს, რაც საბოლოოდ მხატვრობის დანაკარგით სრულდება.



3. კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეჯამება

კრიტიკული არეალები

მთავარი სივრცის ინტერიერის მკლავების კედლის მხატვრობაზე, კერძოდ კამარის დონეზე ვხვდებით კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში არსებულ მხატვრობის მონაკვეთებს. კედლის მხატვრობის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე, ასევე აფრებსა და აფრებს შორის თაღებზე ვლინდება მხატვრობის ცვენის მაღალი რისკი. დაზიანების დინამიკა მხატვრობას დაკარგვის საფრთხის წინაშე აყენებს. ასეთი მონაკვეთები იკვეთება როგორც 2021 – 2022 წლებში განხორციელებული საკონსერვაციო ჩარევის არეალებში, ისე დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მკლავების იმ ნაწილებში, სადაც სავარაუდოდ ბოლო წლებში ჩარევა არ მომხდარა. ამ მონაკვეთებში დაზიანებულია, როგორც ნალესობის, ისე ფერწერული ფენა, ასევე ვხვდებით მარილის, როგორც ზედაპირულ, ისე სტრუქტურის შიგნით მიმდინარე კრისტალიზაციის პროცესსაც.

კედლის მხატვრობის დაზიანების დინამიკა, ცვალებადი და არასტაბილური მონაკვეთები ნათლად იკვეთება 2022 წლის 31 ოქტომბრის, 27 დეკემბრისა და 2023 წლის 9 მარტის მონიტორინგებშიც.

კრიტიკული არეების დეტალური ადგილმდებარეობისთვის იხილეთ გრაფიკული დოკუმენტაცია N4 - კრიტიკული არეალები



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

განმარტება

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მთავარი სივრცის დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების კამარებისა და აფრების კედლის მხატვრობის მდგომარეობის აღსაწერად მოცემულია კედლის მხატვრობის დაზიანებები. დაზიანებების კატეგორიზაცია მოხდა სტრატეგრაფიული ფენებისა და დაზიანებათა ტიპების მიხედვით. სტრატეგრაფიული ფენები მოიცავს საფუძველს, ნალესობასა და ფერწერის შრეებს და ამ ფენებზე განვითარებულ დაზიანების ტიპებს. ცალკეა გამოყოფილი ზედაპირზე არსებული დაზიანებები (ზედაპირული დაბინძურება, ბიოლოგიური ნადები და გამომარილება).

1. საფუძვლის ფენა	2. ნალესობის ფენა		3. ფერწერული ფენა	
	1.1 დუღაბის დანაკარგი	2.1 დანაკარგი	3.1 დანაკარგი	
			2.1.1 სრული	3.1.1 სრული
		2.1.2 ნაწილობრივი	3.1.2 ნაწილობრივი	
	1.2 ქვის ბზარი	2.2 ბზარი	2.2.1 გამჭოლი	3.2 ადჰეზიური კავშირის დაკარგვა
2.2.2 ბადისებრი				
1.3 ქვის გაფხვიერება	2.3 განშრევა	2.3.1 დახურული	3.2.1 აქერცვლა	
		2.3.2 ღია – საფუძველსა და ნალესობას შორის	3.2.2 ბურცვა	
		2.3.3 ღია – ნალესობის ფენებს შორის		
	2.4 გაფხვიერება	3.3 გაფხვიერება		
	2.5 ამოტეხვა	3.4 საღებავის ფენის ჩამორეცხვა		

4. ზედაპირული დაბინძურება

5. ბიოლოგიური დაზიანება

შავი ნადები და ვარდისფერი ლაქები

6. გამომარილება

6.1 ქერქი

6.2 წერტილოვანი კრისტალიზაცია

6.3 ნაფიფქი

6.4 თეთრი ლაქა

1. საფუძვლის ფენა
1.1 დულაბის დანაკარგი

განსაზღვრება:

ქვებს შორის არსებული ნაკერების შემავსებელი ხსნარის დაკარგვა, ცარიელი სივრცეების გაჩენა.


გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული დულაბის დანაკარგი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს:

1. გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ ქიმიურ-მექანიკურ გამოფიტვას, მარილების აქტივობას;
2. არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება:

დულაბის დანაკარგი ლოკალურია (არ აქვს დიდი გავრცელება), შეგვიძლია დავინახოთ მხოლოდ ნალესობის დანაკარგ ადგილებში, იქ სადაც საფუძვლის ფენა ჩანს.

უმეტესად, ფიქსირდება ჩრდილოეთ მკლავში. ლოკალურად, რამდენიმე მონაკვეთზე იკითხება დასავლეთ მკლავში და დასავლეთის აფრებზე.



ლოკაცია სამხრეთ-დასავლეთი აფრა

თარიღი აპრილი, 2023 წელი

2017-2018 წლის ფოტო: კონტეესტი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



დაზიანება დულაბის დანაკარგი

ლოკაცია ჩრდილოეთი მკლავის
ჩრდილოეთი კედელი

სცენა სულთმოფენობა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



1. საფუძვლის ფენა

1.2 ქვის ბზარი

განსაზღვრება:

ქვის ზედაპირზე არსებული თვალით ხილული ნაპრალი, რომელიც ქვის ერთიანი მასის გახეთქვის შედეგად ჩნდება.

ქვებზე არის სხვადასხვა ზომის (სიგრძისა და სიგანის) ბზარები, რომელთაგან უმეტესი ნაწილი დახურულია (ნაპრალი არ არის განიერი, ქვის გახეთქილი ნაწილების ზედაპირები მცირედით არის დაცილებული ერთმანეთისგან).

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ქვის ბზარები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- ქანის გენეზის (მაგალითად – დანალექი ქანის შრეობრიობას);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ ქიმიურ-მექანიკურ გამოფიტვას;
- არქიტექტურულ (სტრუქტურულ) პრობლემებს.

გავრცელება:

გენეზისური ბზარები გავრცელებულია თვალით ხილულ თითქმის ყველა ქვაზე. ჩანს იმ ადგილებში, სადაც ნალესობის დანაკარგებია. ძირითადად ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებსა და დასავლეთის აფრებზე.



ფოტო: ქვის გენეზისური ბზარი;
ჩრდილო-დასავლეთის აფრა;
აპრილი, 2023 წელი

დაზიანება ქვის ბზარი
ლოკაცია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი
სცენა ქრისტე კაიფასთან
თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



20 სმ

ფოტო: დეტალი



1. საფუძვლის ფენა

1.3 ქვის გაფხვიერება

განსაზღვრება:

ქვის (ქანის) შემადგენელი კომპონენტების კოჰიზიური (მინერალების შემკავშირებელი მასალის) კავშირის დაკარგვა/შლა, მარცვლებად ან მარცვლების აგრეგატებად განცალკევება.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ქვის გაფხვიერება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- ქანის გენეზის (წარმოშობის პირობებით განპირობებულ შემადგენლობას);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანების პროცესს – შემკავშირებელი მასალის/ცემენტის ქიმიურ-მექანიკური შეცვლა, გამოფიტვა და კარგვა;
- მარილების აქტივობას;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება:

გვხვდება ჩრდილო–დასავლეთ აფრაზე, იმ მონაკვეთში, სადაც ვხვდებით დიდი რაოდენობით გამომარილებას. გაფხვიერებასთან ერთად ქვის ზედაპირი იქერცლება თხელ შრეებად.




2 სმ

ფოტო: ქვის გაფხვიერება;
ჩრდილო–დასავლეთის აფრა;
აპრილი, 2023 წელი



დაზიანება ქვის გაფხვიერება
ლოკაცია ჩრდილო-დასავლეთი აფრის აღმოსავლეთი კუთხე
სცენა ორნამენტი
თარიღი აპრილი, 2023 წელი



დაზიანება ქვის გაფხვიერება
ლოკაცია ჩრდილო-დასავლეთი აფრის ქვედა ნაწილი
სცენა ორნამენტი
თარიღი აპრილი, 2023 წელი



2. ნაღესობის ფენა

2.1 დანაკარგი

2.1.1 სრული დანაკარგი

განსაზღვრება:

ნაღესობის ფენის სრული ჩამოცვენა. ნაღესობის სრული დანაკარგის შემთხვევაში ზედაპირზე ვიზუალურად განირჩევა საფუძვლის ფენა / ქვის ზედაპირი.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნაღესობის ფენის სრული დანაკარგი არის ნაღესობაზე არსებული სხვა დაზიანებების საბოლოო შედეგი - ცვენა.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნაღესობის დანაკარგი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- გარემოს მიერ გრძელვადიანი ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებას / გამოფიტვის პროცესს;
- მარილების აქტივობას;
- ანთროპოგენული ზემოქმედებით მიყენებულ ზიანს;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ნაღესობის სრული დანაკარგი სხვადასხვა მასშტაბით გავრცელებულია თითქმის ყველა მონაკვეთზე. დიდი რაოდენობით სრული დანაკარგი ფიქსირდება დასავლეთი მკლავის სცენებზე (ქრისტე კაიფასთან, საიდუმლო სერობა, ჯვარი), ჩრდილოეთი მკლავის სცენებზე (სულთმოფენობა, მირქმა), სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ აფრებსა და სამხრეთი მკლავის სცენაზე (ნათლისღება).



ფოტო: ნაღესობის სრული დანაკარგი; დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი; ქრისტე კაიფასთან; აპრილი, 2023 წელი.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
სრული
დანაკარგი
(დიდი
ზომის)

ლოკაცია დასავლეთი
მკლავის
სამხრეთი
კედელი

სცენა საიდუმლო
სერობა

თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



20 სმ

ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
სრული
დანაკარგი
(დიდი
ზომის)

ლოკაცია დასავლეთი
მკლავის
სამხრეთი
კედელი

სცენა საიდუმლო
სერობა

თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



35 სმ

ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით




დაზიანება ნაღესობის სრული დანაკარგი
(მცირე ზომის)
ლოკაცია დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედელი
სცენა ლოცვა გეთსიმანიაში
თარიღი აპრილი, 2023 წელი



2017-2018 ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



25 სმ

ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით

2. ნაღესობის ფენა

2.1 დანაკარგი

2.1.2 ნაწილობრივი დანაკარგი

განსაზღვრება:

ნაღესობის ნაწილობრივი დანაკარგი არის ფენის არასრული ცვენა. ნაწილობრივი დანაკარგის შემთხვევაში ნაღესობის ფენის სისქე შეცვლილია/შემცირებულია, თუმცა ვიზუალურად კედელზე კვლავ განირჩევა მისი გარკვეული ნაწილი. ნაწილობრივი დანაკარგის შემთხვევაში ნაღესობის ფენის ზედაპირი არარეგულარულია და ნაკლებად ადგილებში ვხედავთ ჩაღრმავებებს.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე ნაღესობის ნაწილობრივი დანაკარგი არის ორი ტიპის:

- ისეთი ადგილები, სადაც ნაღესობის ერთი ფენის გარკვეული ნაწილია დაკარგული (ნაწილობრივ გამოფიტული და ჩამოცვენილია მასალა), ხოლო ფენის სისქის გარკვეული ნაწილი აუცილებლად შენარჩუნებულია და ვიზუალურად იკითხება.
- ადგილები, სადაც მხატვრობის 2 სქემა/ფენა ან რამდენიმე ნაღესობის ფენა გვაქვს, რომელთა შემთხვევაშიც ნაღესობის ზედა ფენა მთლიანად დაკარგულია (ჩანს სხვადასხვა მოცულობისა და ფორმის დანაკარგები), თუმცა მის ქვეშ, ვიზუალურად განირჩევა ნაღესობის ქვედა ფენა ან მხატვრობის ადრეული ფენა.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ნაწილობრივი დანაკარგი გავრცელებულია სამივე მკლავის თითქმის ყველა კედელზე სხვადასხვა მასშტაბით. დიდი მასშტაბით ვხვდებით სამხრეთ-დასავლეთ აფრაზე, სამხრეთ (შობა, ნათლიღება), დასავლეთ (ჯვარი) და ჩრდილოეთ (სულთმოფენობა) მკლავებში. ნაღესობის ზედა ფენის დანაკარგის დიდი მასშტაბი, სადაც ქვედა მხატვრობის სქემა ჩანს, დაფიქსირდა დასავლეთ მკლავზე (ქრისტე კაიფასთან, ჯვარი).



ფოტო: ნაღესობის ნაწილობრივი დანაკარგი; დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი; სცენებს შორის ჩარჩო; აპრილი, 2023 წელი.


4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
ნაწილობრივი
დანაკარგი
(მხატვრობის
ზედა ფენის)



ლოკაცია დასავლეთი
მკლავის
ჩრდილოეთი
კედელი

სცენა ქრისტე
კაიფასთან

თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



25 სმ

ფოტო: მაკრო



ფოტო: დეტალი


4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
ნაწილობრივი
დანაკარგი
(ნალესობის
ფენის
გარკვეული
ნაწილი)

ლოკაცია დასავლეთი
მკლავის
სამხრეთი
კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით



2. ნაღესობის ფენა

2.2 ბზარი

2.2.1 ღრმა

განსაზღვრება:

ნაღესობაზე არსებული ხილული ნაპრალი, სიცარიელე, რომელიც ნაღესობას სისქეში კვეთს.

ნაღესობაზე გვხვდება სხვადასხვა ზომის ბზარები, მათგან ნაწილი გახსნილია (განიერი ნაპრალი – ნაღესობის გახეთქილი ნაწილების ერთმანეთისგან მკვეთრად დაცილებული ზედაპირები), ხოლო ნაწილი დახურული (ვიწრო ნაპრალი – ნაღესობის გახეთქილი ნაწილების მცირედით დაცილებული ზედაპირები) ბზარები.


გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნაღესობის გამჭოლი ბზარები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- მხატვრობის შესრულების ორიგინალ ტექნოლოგიას;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

უმეტეს შემთხვევებში, ბზარები გვხვდება კედლების შეერთების ნაწილებში (კუთხეებში), მიუყვება არქიტექტურულ ფორმებს (კედლებისა და თაღების ბმებს) და ქვის წყობას.


ჩანს დასავლეთი მკლავის ჩრდილო, სამხრეთი და დასავლეთი კედლების შეერთების ადგილებში, დასავლეთი კამარის (ჯვრის სცენის) დასავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებში. ასევე იკითხება სამხრეთ კამარასა (ღვთის დიდება) და ხარების სცენაზე, ჩრდილოეთ კამარასა (ჰეტიმასია - ტახტი განმზადებული) და მირქმის სცენაზე.



ფოტო: ნაღესობის გამჭოლი ბზარი;
ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი;
სულთმოფენობა;
აპრილი, 2023 წელი.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

- დაზიანება ნალესობის დრმა
ბზარი (კამარის
გამკვეთი)
- ლოკაცია სამხრეთი მკლავის
კამარა
- სცენა ღვთის დიდება
(ემანუელის
ამაღლება)
- თარიღი აპრილი,
2023 წელი




დაზიანება

ნალესობის ღრმა ბზარი (კედლების შერთების ადგილას)

ლოკაცია

დასავლეთი მკლავის სამხრეთი და დასავლეთი კედლების კუთხე



ფოტო: კონტექსტი

სცენა


ფერხთა ბანა და
ლოცვა გეთსიმანიაში

თარიღი


აპრილი, 2023 წელი



2017-2018 ფოტო: კონტექსტი





ფოტო: დეტალი 1



10 სმ

ფოტო: დეტალი 2

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



2. ნალესობის ფენა

2.2 ბზარი

2.2.2 ბადისებრი

განსაზღვრება:



ნალესობაზე არსებული ხილული, წვრილი, მცირე ზომის ნაპრალთა/ნახეთქთა ერთობლიობა.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნალესობის ბადისებრი ბზარები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს:

- ნალესობის შესრულების ორიგინალ ტექნოლოგიას (ბათქაშის შრობისა და ჯდენის პროცესს).


გავრცელება:

ბადისებრი ბზარებით დაფარულია ყველა მკლავისა და აფრების ნალესობის ზედაპირები სხვადასხვა მასშტაბით.



ფოტოები (დეტალი, მაკრო): ნალესობის ბადისებრი ბზარი; სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედელი; შობა; აპრილი, 2023 წელი.

დაზიანება ნალესობის ბადისებრი ბზარები
ლოკაცია დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედელი
სცენა ლოცვა გეთსიმანიაში
თარიღი აპრილი,
2023 წელი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
ზადისებრი
ზზარი
(გამომარილე
ბით)

ლოკაცია დასავლეთი
მკლავის
სამხრეთი
კედელი

სცენა საიდუმლო
სერობა

თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდობა განათებით



ფოტო: დეტალი



10 სმ

ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით



2. ნაღესობის ფენა

2.3 განშრევება

განსაზღვრება:

ნაღესობისა და საფუძვლის ფენის ან ნაღესობის სხვადასხვა ფენის ერთმანეთისგან განცალკევების პროცესი, რომელიც ამ ფენებს შორის შეკავშირების / მოჭიდების / ადჰეზიური ფუნქციის დაკარგვის შედეგია.

განშრევებად მიიჩნევა ისეთი ადგილები, რასაც აქვს ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან მინიმუმ 2 მათგანი:

- დეფორმირებულია (გამობერილია);
- თან ახლავს ზზარები ან/და ნაღესობის დანაკარგი;
- შეხებისას მოძრაობს;
- აქვს სიცარიელის (ფუყე სივრცის) ხმა.

განშრევების ქვეტიპებია:

- დახურული
- ღია – საფუძველსა და ნაღესობას შორის
- ღია – ნაღესობის ფენებს შორის

განშრევების ქვეტიპების დეტალური აღწერა და გავრცელება იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



ფოტო: ნაღესობის ღია განშრევება; დასავლეთი თაღის (გუმბათქვეშა) ცენტრალური ნაწილი აპრილი, 2023 წელი.

შენიშვნა: განშრევებული მონაკვეთები ისტორიული ჩარევების ადგილებშიც ფიქსირდება. დეფორმაციის, ვიბრაციისა და აკუსტიკური მონაცემების გარდა, ამ მონაკვეთებში ძველი შევსებების დანაკარგი ან დაზზარვა აღინიშნება. ასეთი ადგილები გრაფიკულ დოკუმენტაციაშიც არის დატანილი.



2. ნაღესობის ფენა

2.3 განშრევება

2.3.1 დახურული

დახურულ განშრევებაში იგულისხმება ფენებს შორის ადჰეზიური კავშირის ისეთი მორღევეა, სადაც დეფორმირებულ (გამობურცულ) მონაკვეთს არ აქვს გახსნილი ბზარი, ან ნაკლული ადგილი, თუმცა აქვს აკუსტიკური მაჩვენებელი (სიცარიელის ხმა) ან/და ხელით შეხებისას მოძრაობს.

დახურული განშრევება, შესაძლოა, იყოს საფუძველსა და ნაღესობას შორის, ან ნაღესობებს შორის, თუმცა ვიზუალურად ამის გარჩევა შეუძლებელია.

გელათის საკვლევე ლოკაციებზე არსებული ნაღესობის განშრევება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთს ან რამდენიმეს):


- მხატვრობის ორიგინალ ტექნოლოგიას (მასალა და შესრულების ტექნიკა);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანების პროცესებს;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):


დახურული განშრევება ფიქსირდება ლოკალურად, კერძოდ, დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში და სამხრეთ მკლავის დასავლეთ კედელზე (ნათლისღება), ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (ლაზარეს აღდგინება), სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის აფრებზე, უმეტესად ისტორიული ჩარევების ადგილებში.

დაზიანება	ნალესობის დაზურული განშრევება
ლოკაცია	სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედელი
სცენა	ნათლისღება
თარიღი	აპრილი, 2023 წელი

ქვემოთ: ისტორიული განშრევების მაგალითი. ისტორიულ შევსებას ფუნქცია აქვთ დაკარგული, დაბზარული და დაშლილია, ხოლო ნალესობა განშრევებული.




ფოტო: კონტექსტი



ფოტო:
დეტალი,
პირდაპირი
განათებით

10 სმ



ფოტო:
დეტალი,
გვერდითა
განათებით

10 სმ



დაზიანება ნალესობის დახურული განშრევა
ლოკაცია ჩრდილოეთ მკლავი, აღმოსავლეთ კედელი
სცენა ლაზარეს აღდგინება
თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: დეტალი, კვერდითა განათებით



ფოტო: დეტალი, პირდაპირი განათებით



2. ნაღესობის ფენა

2.3 განშრევება

2.3.2 ღია – საფუძველსა და ნაღესობას შორის

მოცემული ღია განშრევება არის დაზიანება, რომელიც ნაღესობასა და საფუძველის ფენას შორის ადჰეზიური კავშირის დაკარგვას გულისხმობს. ღია განშრევებას თან ახლავს გახსნილი ბზარი ან დანაკარგი და ვიზუალურად ჩანს ქვასა და ნაღესობას შორის გაჩენილი სიცარიელე. ამგვარი სიცარიელე, ძირითადად, შევსებულია მტვრით ან/და ნაშალი მასალით (ნაღესობის ან ქვის გაფხვიერებული ნაწილაკებით).

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნაღესობის განშრევება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთს ან რამდენიმეს):

- მხატვრობის ორიგინალ ტექნოლოგიას (მასალა და შესრულების ტექნიკა);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანების პროცესებს;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

საფუძველსა და ნაღესობას შორის ღია განშრევება მცირე მასშტაბზე ფიქსირდება სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (ნათლისღება), ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე (ლაზარეს აღდგინება), ჩრდილო–დასავლეთ აფრაზე.



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



ფოტო: კონტესტი

- დაზიანება ღია განშრევა – ნალესობასა და საფუძველს შორის
- ლოკაცია სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედელი
- სცენა ნათლისღება
- თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: მაკრო, დეტალი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით

10 სმ



ფოტო: მაკრო, გვერდითა რაკურსით

10 სმ



დაზიანება ღია განშრევა – ნალესობასა და საფუძველს შორის

ლოკაცია სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედელი

სცენა ნათლისდება

თარიღი აპრილი, 2023 წელი



2. ნაღესობის ფენა
2.3 განშრევება

2.3.3 ღია – ნაღესობის ფენებს შორის

მაცემული ღია განშრევება არის დაზიანება, რომელიც ნაღესობის ფენებს შორის ადჰეზიური კავშირის დაკარგვას გულისხმობს. ღია განშრევებას თან ახლავს გახსნილი ბზარი ან დანაკარგი და ვიზუალურად ჩანს ნაღესობის ორ ან მეტ ფენას შორის გაჩენილი სიცარიელე. ამგვარი სიცარიელე, ძირითადად, შევსებულია მტვრით ან/და ნაშალი მასალით (ნაღესობის გაფხვიერებული ნაწილაკებით).

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნაღესობის განშრევება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთს ან რამდენიმეს):

- მხატვრობის ორიგინალ ტექნოლოგიას (მასალა და შესრულების ტექნიკა);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანების პროცესებს;
- არქიტექტურულ პრობლემებს.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ნაღესობის ფენებს შორის ღია განშრევება ფიქსირდება ნაღესობის ნაკერების მონაკვეთებში. მცირე მასშტაბებზე ფიქსირდება დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე (ფერხთა ბანა, საიდუმლო სერობა), კამარაზე (ჯვარი) და დასავლეთის აფრებზე, სამხრეთი კედლის დასავლეთ სცენაზე (ნათლისღება).

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ღია
განშრევაბა –
ნალესობის
ფენებს
შორის


ლოკაცია სამხრეთი
მკლავის
დასავლეთი
კედელი

სცენა ნათლისღება


თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით



დაზიანება ღია განშრევა – ნალესობის ფენებს შორის
ლოკაცია სამხრეთი მკლავის დასავლეთი კედელი
სცენა ნათლისღება
თარიღი აპრილი, 2023 წელი



2. ნალესობის ფენა

2.4 გაფხვიერება

განსაზღვრება:

ნალესობის ერთიანი მასის მარცვლებად ან აგრეგატებად დაშლის/განცალკევების პროცესი. ნალესობის შემადგენელ ნაწილაკებს შორის კოჰეზიური კავშირის დაკარგვა, შემკვრელის დაშლა.

ნალესობის გაფხვიერება, ძირითადად, აგრეგატული სახისაა, ვიზუალურად მცირე ზომის ნატეხებად არის დაშლილი. ნალესობის გაფხვიერებასთან ერთად (ამავე ადგილებში), ძირითადად არის ფერწერული ფენის დანაკარგი ან/და გაფხვიერება.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ნალესობის გაფხვიერება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ შემაკავშრებელი მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის/გამოფიტვის პროცესს;
- მარილების აქტივობას.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

გავრცელებულია ყველა მკლავის ყველა კედელზე სხვადასხვა მასშტაბით. დიდი მასშტაბით გავრცელებულია დასავლეთი მკლავის სცენებზე (საიდუმლო სერობა, ფერხთა ბანა, ჯვარი, ქრისტე კაიფასთან), ჩრდილოეთ მკლავზე (სულთმოფენობა, მირქმა) და ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე.



ფოტო: ნალესობის გაფხვიერება; დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთი კედელი; ფერხთა ბანა; აპრილი, 2023 წელი.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე.

დაზიანება ნალესობის გაფხვიერება

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა


თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: ვონტეესტი



ფოტო: მაკრო, ვერტიკალთა განათებით




5 სმ

ფოტო: დეტალი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



- დაზიანება ნალესობის გაფხვიერება
- ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი
- სცენა საიდუმლო სერობა
- თარიღი აპრილი, 2023 წელი




დაზიანება ნალესობის გაფხვიერება
ლოკაცია დასავლეთი მკლავის თალის ჩრდილოეთი ნაწილი
თარიღი აპრილი, 2023 წელი



დაზიანება ნალესობის გაფხვიერება
(გამომარილებასთან ერთად)

ლოკაცია ჩრდილო-დასავლეთ აფრა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



2017-2018 წლის ფოტო: კონტექსტი

ფოტო: დეტალი, გვერდითა განათებით



2. ნალესობის ფენა

2.5 ამოტეხვა

განსაზღვრება:


ნალესობის ზედაპირზე არსებული ფერწერული ფენისა და ორგანული ჩანარების სრული ან ნაწილობრივი დანაკარგები, რომელიც იმეორებს ნალესობის ორგანული ჩანარების ფორმებს. დანაკარგის ფორმა, ძირითადად, მოგრძო და წვრილია, გეომეტრიული ფორმის ღრმულეებში, ხშირად, შერჩენილია ბოჭკოვანი მასალა (ორგანული/მცენარეული ჩანართი). ამოტეხვებს ვხვდებით როგორც ერთეული სახით, ისე ჯგუფურად.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ამოტეხვები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს:

- ტექნოლოგიასა და გარემოს ზემოქმედებას (სავარაუდოდ, ორგანული მცენარეული ჩანართის დასვლება–გაშრობის გამო მის მოცულობაში ცვლილებას, შედეგად ამოცვენა/ამოვარდნას).

გავრცელება:

ამოცენილი მცენარეული ჩანარებით მიღებული ნალესობის ამოტეხვები ჩანს ყველა მკლავის ყველა კედელზე, საკმაოდ დიდ ფართობზე, განსაკუთრებით მრავლადაა კამარებში.



ფოტოები: ნალესობის ამოტეხვა;
დასავლეთი მკლავის კამარა;
დეტალი და მკრო ფოტოები
აპრილი, 2023 წელი

დაზიანება

ნალესობის ამოტეხვა

ლოკაცია


დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა

საიდუმლო სერობა

თარიღი

აპრილი, 2023 წელი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნალესობის
ამოტეხვა

ლოკაცია სამხრეთი
მკლავის
დასავლეთი
კედელი

სცენა ნათლისღება


თარიღი აპრილი, 2023
წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით

3. ფერწერული ფენა

3.1 დანაკარგი

3.1.1 სრული დანაკარგი

განსაზღვრება:

ფერწერის ფენის სრული ჩამოცვენა. ფერწერის სრული დანაკარგის შემთხვევაში ზედაპირზე ვიზუალურად განირჩევა ნალესობის ფენა. ფერწერული ფენის სრული დანაკარგი არის ფერწერაზე არსებული სხვა დაზიანებების საბოლოო შედეგი - ცვენა.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერწერის სრული დანაკარგი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს):

- გარემოს მიერ გრძელვადიანი ზემოქმედებით გამოწვეულ ცვლილებებს (გამოფიტვა / დეგრადაციას);
- ანთროპოგენული ზემოქმედებით მიყენებულ ზიანს;
- მარილების აქტივობას.

ფერწერის ფენის დანაკარგი დაკავშირებულია ისეთ დაზიანებებთან, როგორცაა ნალესობის სრული ან ნაწილობრივი დანაკარგი (ყველგან, სადაც ნალესობა დაკარგულია, შესაბამიდად ფერწერული ფენაც დაკარგულია), ასევე, ნალესობის გაფხვიერება და ადგილებში – მარილები.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ფერწერული ფენის სრული დანაკარგის ლოკაციები, რომელშიც ნალესობის ფენა შენარჩუნებულია, მაგრამ ფერწერული ფენა სრულად დაკარგული, დიდი მასშტაბით გვხვდება ძირითადად დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე. შედარებით მცირე მასშტაბით ამავე მკლავის დასავლეთ კედელზე. დიდ ფართობზე გვხვდება სამხრეთის მკლავში (ნათლისღება, ხარება) და აფრებზე.



3. ფერწერული ფენა

3.1 დანაკარგი

3.1.2 ნაწილობრივი დანაკარგი

განსაზღვრება:

ფერწერის ნაწილობრივი დანაკარგი არის ფენის არასრული ცვენა. ნაწილობრივი დანაკარგის შემთხვევაში ფერწერის ფენა ადგილ-ადგილ არის ჩამოცვენილი და ფერის ნაწილი ჯერ კიდევ იკითხება. ფერწერული ფენის ნაწილობრივ დანაკარგში შედის ისეთი ადგილები, სადაც ფერწერული ფენის ზედა შრეები დაკარგულია, თუმცა განირჩევა მოსამზადებელი ნახატი.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე ნალესობის ნაწილობრივი დანაკარგი არის ორი ტიპის –

1. ადგილები, სადაც ფერწერის რამდენიმე ფენიდან (მაგალითად – სარჩული და ზედა ფენა) ზედა ნაწილია დაკარგული, ხოლო შიდა ქვედა ფერი შემორჩენილია, ან დანაკარგი დასულია მოსამზადებელ ნახატამდე.
2. ადგილები, სადაც ფერწერის ერთი ფენის ფერი დაკარგულია ადგილ-ადგილ და ჩანს მცირე ზომის ჩამოცვენების დანაკარგების ერთობლიობა. ამგვარ მონაკვეთებში პიგმენტის წვრილი აგრეგატები მაინც იკითხება.

ფერწერის ნაწილობრივი დანაკარგი, გარკვეულ შემთხვევებში, დაკავშირებულია დაზიანებებთან – ნალესობის გაფხვიერებასთან ან/და მარილებთან, ასევე ორიგინალი ტექნოლოგიის დაზიანებისკენ მიდრეკილ ბუნებასთან (სუსტი საღებავის ფენასთან).

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ფერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი სხვადასხვა ხარისხით გავრცელებულია გელათის მხატვრობის საკვლევ მონაკვეთის მთლიან ფართობზე.

შენიშვნა: გრაფიკულ დოკუმენტაციაზე დასავლეთი კამარის ლურჯი ფონის ნაწილობრივი დანაკარგის დატანა არ მოხდა, ვინაიდან დაზიანება მთლიან სცენას ფარავს.



ფოტო: ფერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი; დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელი; ფერხთა ბანა; აპრილი, 2023 წელი.

5 სმ


4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ვერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა საიდუმლო სერობა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



5 სმ

ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



ფოტო: დეტალი



5 სმ

ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ფერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი

ლოკაცია ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთი კედელი

სცენა მირქმა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება

ლოკაცია

სცენა


თარიღი

ფერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი

ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთი კედელი

მირქმა

აპრილი, 2023 წელი




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ფერწერული ფენის ნაწილობრივი დანაკარგი

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: დეტალი 1



20 სმ

ფოტო: დეტალი 2



ფოტო: მაკრო (დეტალი 2-ის)

3. ფერწერული ფენა

3.3 ადჰეზიური კავშირის დაკარგვა

3.3.1 აქერცვლა

განსაზღვრება:

ფერწერული ფენის საფუძვლისგან მოცილების, განცალკევების პროცესი, რომელიც ამ ფენებს შორის შეკავშირების / მოჭიდების / ადჰეზიური ფუნქციის დაკარგვის შედეგია. ვიზუალურად იკითხება, როგორც მცირე ზომის ფერწერული ფენის ქერცლი, აპრეზილი მონაკვეთი, რომელიც ნალესობაზე გარკვეული ნაწილით ჯერ კიდევ მოჭიდებულია.

აქერცვლა არის ფერწერული ფენის დაკარგვამდე განვითარებულ დაზიანებათა ციკლში ერთ-ერთი გადამწყვეტი (შესაძლოა ითქვას, ბოლო) ეტაპი.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერწერის აქერცვლა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს):

- ორიგინალ ტექნოლოგიას (მასალასა და შესრულების ტექნიკას);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ შემაკავშრებელი მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის/გამოფიტვის პროცესს;
- და უმთავრესად მარილების აქტივიზაციას (უმეტესად ჩანს იმ ადგილებში, სადაც გამომარილება).

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

აქერცვლა გავრცელებულია ფერწერული ფენის საკმაოდ დიდ მონაკვეთზე, თითქმის ყველა კედელზე სხვადასხვა ხარისხით, ყველაზე მეტად თავმოყრილია დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, სამხრეთი მკლავის ხარების სცენაზე, ჩრდილო-დასავლეთ აფრაზე.

ხშირად აქერცვლა, გამომარილება და გაფხვიერება ერთდროულად გვხვდება.




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ფერწერული ფენის აპერცვლა


ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა


თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი




ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



10 სმ

ფოტო: დეტალი, პირდაპირი განათებით



10 სმ



ფოტო: დეტალი, გვერდითა განათებით

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



დაზიანება	ფერწერული ფენის აქერცვლა
ლოკაცია	ჩრდილო-დასავლეთი აფრა
სცენა	მახარებელი
თარიღი	აპრილი, 2023 წელი

2017-2018 წლის
ფოტო: კონტექსტი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



დაზიანება

ფერწერული ფენის აქერცვლა

ლოკაცია


დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი

სცენა

ქრისტე კაიფასთან

თარიღი

აპრილი,
2023 წელი



დაზიანება

ფერწერული ფენის აქერცვლა

ლოკაცია


დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა


ფერხთა ბანა

თარიღი

აპრილი,
2023 წელი



დაზიანება ვერწერული ფენის აქერცვლა
ლოკაცია დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი
სცენა ქრისტე კაიფასთან
თარიღი აპრილი, 2023 წელი



3. ფერწერული ფენა

3.3 ადჰეზიური კავშირის დაკარგვა

3.3.2 აბურცვა

განსაზღვრება:


ფერწერული ფენის ნალესობისგან მოცილების, განცალკევების პროცესი, რომელიც ამ ფენებს შორის შეკავშირების / მოჭიდების / ადჰეზიური ფუნქციის დაკარგვის შედეგია. ვიზუალურად იკითხება, როგორც მცირე ზომის გამობერილი ნაწილები, შესაძლოა, ჰქონდეს გარშემო წვრილი ბზარები, თუმცა ნალესობის ზედაპირზე ჯერ კიდევ დაფიქსირებულია, არ არის არის ნალესობიდან ქერცლებად აწეული, გვხვდება როგორც დახურული ამობურცვის, ისე გახსნილი ამობურცვის შემთხვევები. აბურცული ადგილების დიდი ნაწილი ფიზიკური ზემოქმედების შემთხვევაში ზიანდება შეხების დროს მოძრაობს, არ არის სტაბილური.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერწერის აბურცვა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს):

- ორიგინალ ტექნოლოგიას (მასალასა და შესრულების ტექნიკას) - ნალესობის მცენარეული ჩანართის მოძრაობას;
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ შემაკავშირებელი მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის/გამოფიტვის პროცესს;
- და უმთავრესად მარილების აქტივიზაციას – ბურცვის დროს გამომარილება ჯერ კიდევ არ არის ფერწერის ზედაპირზე ბოლომდე ამოსული და მისი კრისტალები დაგროვებულია აბურცული ადგილების შიგნით. ამგვარ ადგილებში გამომარილების პროცესის გაგრძელების შემთხვევაში აბურცვა გადადის აქერცვლაში.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

აბურცვა ჩანს ლოკალურად, გარკვეულ ადგილებში, კერძოდ, დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, ჩრდილოეთი მკლავის კამარაზე და სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე.




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ფერწერული ფენის აბურცვა

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა


თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: დეტალი, პირდაპირი განათებით



ფოტო:
პორტატული
მიკროსკოპით 50 x
გადიდებაზე.



ფოტო: დეტალი, გვერდითა განათებით

დაზიანება

ლოკაცია

სცენა


თარიღი

ფერწერული ფენის ბურცვა

ჩრდილოეთი მკლავის კამარა

ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული)

აპრილი,
2023 წელი



3. ფერწერული ფენა

3.4 გაფხვიერება

განსაზღვრება:

ფერწერული ფენის ერთიანობის დაკარგვა და სხვადასხვა ზომის გრანულებად დაშლა/განცალკევება. ფერწერული/ფერის ფენის შემადგენელ ნაწილაკებს შორის (შემკვრელი და პიგმენტი) კოჰეზიური კავშირის დაკარგვა, შემკვრელის დაშლა.

გაფხვიერება არის ფერწერული ფენის დაკარგვამდე განვითარებულ დაზიანებათა ციკლში აქერვლასთან ერთად ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპი.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერწერის გაფხვიერება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს (ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს):

- ორიგინალ ტექნოლოგიას (პიგმენტისა და შემკვრელის მასალასა და შესრულების ტექნიკას);
- გარემოს ან/და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეულ შემკვრელის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის/გამოფიტვის პროცესს;
- და უმთავრესად მარილების აქტივიზაციას.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

გაფხვიერება საკმაოდ დიდ ზედაპირზეა გავრცელებული, გარკვეულ შემთხვევებში მეტად ახასიათებს კონკრეტულ ფერებს (მაგალითად, ლურჯი ფერი თითქმის ყველგან გაფხვიერებულია, ასევე ადგილებში წითელი და ყვითელი). ხშირად გაფხვიერება, აქერცვლა და გამომარილება ერთდროულად გვხვდება.

გაფხვიერება ფართომასშტაბით გვხვდება დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე. ასევე ნათლისღების, ხარების, ქრისტეს დიდების, სულთმოფენობის, ლაზარეს აღდგინების სცენებზე.



ფოტო: ფერწერული ფენის გაფხვიერება, დასავლეთ მკლავის დასავლეთ კედელი, აპრილი, 2023 წელი.




ფოტო: ფერწერული ფენის გაფხვიერება, გამომარილებასთან ერთად, დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელი, ფერხთა ბანა აპრილი, 2023 წელი.

დაზიანება ფერწერული ფენის გაფხვიერება
 ლოკაცია ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი
 სცენა სულთმოფენობა
 თარიღი აპრილი, 2023 წელი



2017-18 წლის ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით



10 სმ

ფოტო: დეტალი, პირდაპირი განათებით






10 სმ

ფოტო: დეტალი, გვერდითა განათებით



დაზიანება ფერწერული ფენის გაფხვიერება
ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი
სცენა ფერხთა ბანა
თარიღი აპრილი, 2023 წელი



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ფერწერული ფენის გაფხვიერება (აქერცვლასა და გამომარილებას თან ერთად)

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: მაკროს დეტალი, გვერდითა განათებით




ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი




დაზიანება ფერწერული ფენის გაფხვიერება

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



3. ფერწერული ფენა

3.5 საღებავის ფერის ჩამორეცხვა

განსაზღვრება:

ფერწერის ზედაპირზე არსებული სხვადასხვა ფერის ლაქები, რაც ვიზუალურად იკითხება, როგორც ნაღვენთები და აქვს გრავიტაციული მიმართულება (კედლის ზედა ნაწილიდან კედლის ქვედა ნაწილისკენ).

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერის ჩამორეცხვა უნდა უკავშირდებოდეს ინტერიერში წყლის ინფილტრაციის შედეგად საღებავის დეგრადირებული/გაფხვირებული ფენის გახსნა – ჩამორეცხვას.

საღებავის ფენის ჩამორეცხვა გარკვეულ მონაკვეთებზე მკვეთრად ფიქსირდება.

გავრცელება:


გვხვდება იქ, სადაც ლურჯი ფერია გამოყენებული, უმეტესად ჩანს დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელსა და ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე.




ფოტო: საღებავის ფენის ჩამორეცხვა;
დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი;
ფერბთა ბანა;
აპრილი, 2023 წელი.

10 სმ


დაზიანება საღებავის ფერის ჩამორეცხვა
ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი
სცენა ფერხთა ბანა
თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



25 სმ ფოტო: დეტალი



4. ზედაპირული დაზინძურება

მტვრისა და ჭუჭყის ფენა, ობობის ქსელები

განსაზღვრება:


მხატვრობის ზედაპირზე არსებული ეგზოგენური ნადები – მტვრისა და ჭუჭყის ფენა, ობობის ქსელები.

ზედაპირული დაზინძურება ცვლის როგორც ფერწერული ფენის ვიზუალურ მხარეს (რთულს ხდის მხატვრობის გარჩევას, ფარავს მას), ასევე აზიანებს ფიზიკურად (მტვრის ფენის ნაწილაკები ჯდება მასალის უწვრილეს ფორებშიც კი, ხოლო მისი დანესტიანება–გაშრობის პროცესში აზიანებს ფორებს ფიზიკურად, გაფართოება–შეკუმშვის შედეგად წნევის წარმოშობით). მტვრისა და ჭუჭყის ფენას კომპლექსური შემადგენლობა აქვს (სხვადასხვა მასალის უწვრილესად დეზინტეგრირებული ნაწილაკებია), ამიტომ, მისი შემოქმედებაც ფერწერის ფენაზე კომპლექსურია და სხვადასხვა გზით დამაზიანებელი. ობობის ქსელები კი შესუსტებული ფერწერის ზედაპირს ეჭიდება და ჩამოვარდნის შემთხვევაში მხატვრობის ნაწილების დანაკარგსაც იწვევს.

გავრცელება:

შესაძლოა ითქვას, რომ გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ფერწერული ფენის სრული ზედაპირი დაფარულია მტვრისა და ჭუჭყის სხვადასხვა სისქის ფენით. შესაბამისად, დაზიანების ინტენსივობაც განსხვავდება კონკრეტული მონაკვეთების მიხედვით.

მტვრის ფენა მრავალ ადგილზეა დაგროვებული, ხოლო ობობის ქსელები უმეტესად სივრცის კუთხეებში შეინიშნება.



ფოტო: მტვრისა და ჭუჭყის ნადები, ობობის ქსელები
სამხრეთ მკლავი, თალის კუთხე.
ფერხთა ბანა;
აპრილი, 2023 წელი.

5 სმ


დაზიანება ზედაპირული დაბინძურება
ლოკაცია სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედელი
(აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებთან
შეერთების კუთხეები)

სცენა შობა

თარიღი აპრილი,
2023
წელი




2017-18 წლის ფოტო: კონტექსტი



25 სმ

ფოტო: დეტალი 1



20 სმ

ფოტო: დეტალი 2



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი



დაზიანება ზედაპირული დაზინძურება
ლოკაცია სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედელი
სცენა შობა
თარიღი აპრილი, 2023 წელი



5. ბიოლოგიური დაზიანება

შავი ნადები და ვარდისფერი ლაქები

განსაზღვრება:

1. შავი ნადები - მხატვრობაზე არსებული გარკვეული ტიპის ბიოლოგიური კოლონიზაცია. ფორმისა და ტექსტურის კუთხით ნადები წარმოადგენს მრგვალი რბილი (ბუსუსებიანი) ნაწილაკების ერთობლიობა, რომელიც ზედაპირზე რელიეფურად არის განაწილებული. შავი და მონაცრისფრო-თეთრი ფერის ნაწილაკები, რომელთა ფერიც შესაძლოა ერთმანეთში გარდამავალი იყოს. განაწილების კუთხით ვხვდებით ფერწერულ და ნალესობის ფენებზე, აკუმულირებულია როგორც კედლების კუთხეებში, ისე გაშლილ სიბრტყეებზეც.

აღნიშნული შავი ნადების - ბიოლოგიური აგენტის - ლაბორატორიული კვლევა იხილეთ *კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ანგარიშში "REPORT ON THE STATE OF CONSERVATION OF THE GELATI MONASTERY WORLD HERITAGE PROPERTY, GEORGIA Mission of 22 – 28 June 2021" by ASSOCIAZIONE GIOVANNI SECCO SUARDO (განხორციელებულია იტალიელი სპეციალისტების მიერ).*

2. ვარდისფერი ლაქები - ვარდისფერი მრგვალი ლაქები, რომელიც ზედაპირიდან მცირედით არის ამოწეული. მაკროსკოპულად იკითხება როგორც მუქ წერტილთა ერთობლიობა.

გელათის საკვლევ ლოკაციებზე არსებული ბიოლოგიური დაზიანება შესაძლოა უკავშირდებოდეს ინტერიერში წყლის ინფილტრაციას, ტენის გაჩენას და ბიოლოგიური კოლონიზაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

გავრცელება:

შავი ლაქები ფიქსირდება დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთ ნაწილში დეკორატიულ არშიაზე და სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში. ასევე ლოკალურად ფიქსირდება ჩრდილოეთი მკლავის კამარაზე.

ვარდისფერი ლაქები ფიქსირდება ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, ერთ კონკრეტულ მონაკვეთში.




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ბიოლოგიური – შავი ნადები

ლოკაცია დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ბიოლოგიური –
შავი ნადები


ლოკაცია დასავლეთი
მკლავის სამხრეთი
კედელი,
დასავლეთის
კედელთან
შეერთების კუთხე

სცენა ფერხთა ბანა


თარიღი აპრილი,
2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: დეტალი



ფოტო:
პორტატული
მიკროსკოპით 50 x
გადიდებაზე.




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ბიოლოგიური – ვარდისფერი ლაქები


ლოკაცია ჩრდილოეთი მკლავი, დასავლეთი კედელი

სცენა მირქმა


თარიღი აპრილი, 2023 წელი




ფოტო: კონტექსტი



ფოტო:
პორტატული
მიკროსკოპით 50 x
გადიდებაზე.



ფოტო: დეტალი



ფოტო:
პორტატული
მიკროსკოპით 50 x
გადიდებაზე.



6. მარილები

მარილები იონური შენაერთებია, რომლებიც მჟავასა და ფუძეს შორის ნეიტრალიზაციის რეაქციით მიიღება. მარილები შედგებიან კათიონების (დადებითად დამუხტული ნაწილაკების) და ანიონებისგან (უარყოფითი ნაწილაკებისგან), რომელთა შერწყმით ნეიტრალური პროდუქტი მიიღება. კათიონები შეიძლება იყვნენ მეტალის იონები, ამონიუმის იონი, კომპლექსური კათიონები და ა.შ. ანიონები კი ორგანულ და არაორგანულ მჟავათა ნაშთები. მარილები შეიძლება იყოს ადვილად ხსნადი, მცირედით ხსნადი და უხსნადი.

მარილები გვხვდება როგორც კრისტალურ - მყარ - ფორმაში, ისე მარილის ფორმაციის იონების სახით - თხევად ფორმაში.

გელათის სამონასტრო კომპლექსში მარილები გვხვდება როგორც ზედაპირზე, ისე სტრუქტურაში, კერძოდ ფერწერის, ნალესობისა და საფუძვლის ფენებში.

გელათის სამონასტრო კომპლექსში მარილების გავრცელების მასშტაბი დიდია. მარილები სხვადასხვა ინტენსივობით და სახით გვხვდება ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი მკლავების კამარის დონის სცენებზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ აფრებსა და დეკორირებულ თაღებზე.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი სივრცის მკლავების ზედა სცენებზე არსებული მარილის წყარო და მათი ზუსტი შემადგენლობა უცნობია, თუმცა საყუადრებოა, რომ მარილების კრისტალიზაცია დაშლის პროცესი აქტიურია, რაც გამოწვეულია არასტაბილური კლიმატური პრიობებით.

გელათის სამონასტრო კომპლექსის საკვლევ არეებზე ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე კრისტალურ მარილებს 4 ფორმით/სახით ვხვდებით.

1. ნაფიფქი
2. წერტილოვანი კრისტალიზაცია
3. ქერქი
4. თეთრი ლაქები



6. მარილები

6.1 ნაფიფქი

განსაზღვრება:

მარილის ფიფქისებრი კრისტალები, რომლებიც მხატვრობის ზედაპირზე ან/და ფენის ქვეშ ვლინდება. ვიზუალურად ფაფუკი არარეგულარული თხელი ფენის ეფექტს იძლევა. ვხვდებით ლოკალურ გამოფიფქვასაც. ნაფიფქი მარილი წვრილი კრისტალების მეჩხერული ერთობლიობაა, რომელიც ღრუბლისებრ მოცულობას ქმნის.

ნაფიფქის სახით ვხვდებით ახლად გამოკრისტალებულ მარილს, რომლის გამყარების პროცესი ჯერ ადრეულ ეპატზეა.

ნაფიფქი მარილი შესაძლოა შეგვხვდეს სამივე ტიპის გამომარილებასთან.

გავრცელება (დეტალურად იხ. გრაფიკული დოკუმენტაცია):

ნაფიფქი მარილი მასშტაბურად გვხვდება დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, კერძოდ, საიდუმლო სერობისა და ფერხთა ბანის სცენებზე. ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (ლაზარეს ადდგინება) და ჩრდილოეთი კედლის (სულთმოფენობა) დასავლეთ კუთხეში.

ნაფიფქს ლოკალურად/ფრაგმენტულად ვხვდებით ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მირქმა) და სამხრეთი მკლავის დასავლეთ (ნათლისცემა) და აღმოსავლეთ (ხარება) კედლებზე. ასევე ჩრდილო-დასავლეთ აფრებსა და ჩრდილო, დასავლეთ და სამხრეთ დეკორატიული თაღების კანტებზე.

დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (ლოცვა გეთსიმანიაში), ნაფიფქი მარილი (2021-22 წლის) შევსებებზეც გვხვდება, ასევე ჩრდილოეთი კედლის (ქრისტე კაიფასთან) (2021-22 წლის) ტონირებულ არეებზეც.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნაფიფქი მარლი

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი

სცენა საიდუმლო სერობა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 1ა -
დასავლეთი მკლავის
სამხრეთი კედელი
(საიდუმლო სერობა)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება

ნაფიფქი მარილი

ლოკაცია

დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი

სცენა

საიდუმლო სერობა

თარიღი

აპრილი, 2023 წელი



ფოტო: კონტექსტი



ფოტო: დეტალი



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით




ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით

ნიმუში 1ბ - დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (საიდუმლო სერობა)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.


4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნაფიფეი მარლი

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, სამხრეთ კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 2 - დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (ფერხთა ბანა)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.

ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.


4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნაფიფეკი მარილი

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, ჩრდილოეთი კედელი

სცენა ქრისტე კაიფასთან

თარიღი აპრილი, 2023 წელი




ფოტო: კონტექსტი




30 სმ

ფოტო: დეტალი


წიმუში 5- დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედელი (ქრისტე კაიფასთან)




ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით



ფოტო: მაკრო, გვერდითა განათებით





4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ნაფიფქი მარილი

ლოკაცია ჩრდილო-დასავლეთ აფრასთან, თაღზე

სცენა ორნამენტი

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 6 - ჩრილოეთის თაღი



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.



ფოტო: მაკრო, პირდაპირი განათებით



ფოტო: მაკრო, გვერდითი განათებით



6. მარილები

6.2 წერტილოვანი კრისტალიზაცია

განსაზღვრება:

მარილის მყარი კრისტალები, რომლებიც ფორმირებულია ფერისა ან/და ნალესობის აგრეგატებთან ერთად. წერილოვანი კრისტალიზაცია ლოკალურია და ხორკლიანი ზედაპირის ეფექტს ქმნის. საკმაოდ მყარი მარილების ერთობა მომრგვალებულ წერტილოვან გუნდებად იკვეთება, როგორც ზედაპირზე, ისე სტრუქტურის შიდა ფენებში.

წერტილოვანი კრისტალიზაციის საკმაოდ მყარი სტრუქტურისაა, რაც მარილის ხანდაზმულობაზე მიუთითებს.

წერტილოვან კრისტალიზაცია უმეტესად გვხვდება დამოუკიდებლად.

გავრცელება:

წერტილოვანი კრისტალიზაცია უფრო ლოკალურად არის გავრცელებული და მცირე მასშტაბით ფრაგმენტულად ვხვდებით სცენებზე. უმეტესად ვხვდებით ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედელზე (მირქმა) და აღმოსავლეთ კედელზე (ლაზარეს ალდგინება); სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელი (ნათლისღება) და დასავლეთ მკლავის კამარაზე.



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი


დაზიანება წერტილოვანი კრისტალიზაცია

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი

ნომერი 28 - დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (ფერხთა ბანა)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.




4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება წერტილოვანი კრისტალიზაცია

ლოკაცია დასავლეთი მკლავი, სამხრეთი კედელი

სცენა ფერხთა ბანა

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 28- დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი (ფერხთა ბანა)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.

ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.

6. მარილები

6.3 ქერქი

განსაზღვრება:


მარილის კრისტალური ნადები, რომელიც ქერქის სახით ფარავს ზედაპირს. ქერქი ზედაპირიდან დაცილებული, რელიეფური ფორმის მოცულობითი ფენაა.

ქერქის ფორმაცია ანუ ერთიანი კრისტალური მარილის ფენის წარმოქმნა მარილის ასაკზე მიანიშნებს. განსხვავებით ნაფიფქისგან კრისტალიზაციის პროცესი მიუთითებს მარილის ხანდაზმულობაზე.

მარილის ქერქი შესაძლოა შეგვხვდეს ნაფიფქ გამომარილებასთან, ძირითადად ქერქის ქვეშ მარილის თეთრი ლაქების კვალი რჩება.

გავრცელება:

მარილის ქერქს უმეტესად ვხვდებით ჩრდილოეთი და სამხრეთი კამარების ცენტრალურ სცენებზე, დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედლის საიდუმლო სერობის სცენაზე. ასევე ვხვდებით ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ სცენაზე (მირქმა) და სამხრეთ-დასავლეთ აფრაზე.







ფოტო: ქერქი;
ჩრდილოეთი მკლავის კამარა;
ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული)
აპრილი, 2023 წელი.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება ქერქი
 ლოკაცია ჩრდილოეთი მკლავის კამარა
 სცენა ჰეტიმასია (ტახტი განმზადებული)
 თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 8 - ჩრდილოეთი მკლავის კამარა



6. მარილები

6.4 თეთრი ლაქები

განსაზღვრება:

თეთრი ლაქები მარილის კრისტალური თხელი ფენის ნადებია, რომლის ნაწილიც ზედაპირის სტრუქტურაში მყარად არის ჩამჯდარი. ნადები სრულად მიუყვება ზედაპირის ფორმას, გვხვდება ლოკალურად თეთრი შეფერილობის ლაქების სახით.

თეთრი ლაქები მარილის ქერქის ჩამოცვენის შედეგად ზედაპირზე დარჩენილი კრისტალებია, რომელიც მყარად არის ჩამჯდარი ფორებში და ქმნის ზედაპირულ აბკს. მარილის თეთრი ლაქები მარილის ხანდაზმულობაზე მიუთითებს.

თეთრი ლაქები ისტორიული გამომარილების ადგილებში გვხვდება.

გავრცელება:





თეთრ ლაქებს ყველა სცენაზე ვხვდებით, განსაკუთრებით მრავალად ვხვდებით დასავლეთი მკლავის კამარისა და სამხრეთი კედლის სცენებზე, ასევე ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავების კამარებსა და ზედა სცენებზე.



4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება	თეთრი ლაქები
ლოკაცია	ჩრდილოეთი მკლავი, აღმოსავლეთი კედელი
სცენა	ლაზარეს აღდგინება
თარიღი	აპრილი, 2023 წელი

ნიმუში 7 - ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთი კედელი (ლაზარეს აღდგინება)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათებით.

ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.

4. მდგომარეობის ვიზუალური ლექსიკონი

დაზიანება თეთრი ლაქები


ლოკაცია დასავლეთი მკლავი, კამარა

სცენა ჯვარი

თარიღი აპრილი, 2023 წელი



ნიმუში 9 - დასავლეთი მკლავის კამარა (ჯვარი)



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, პირდაპირი განათება.



ფოტო: პორტატული მიკროსკოპით 50 x გადიდებაზე, გვერდითი განათება.


გრაფიკული დოკუმენტაცია / Graphic Documentation

ხატის მხატვრობის დაზიანების რუკა

Wall painting condition map

ნაღასობის ფენა


Plaster layer



გათათის სამონასტრო
ქოგლაქსი ტვთისგობლის
გობის ტაძარი

Church of the Nativity of
Virgin Mary

სამხრეთის ჰრილი
South section



დასავლეთი გლავი, სამხრეთის ხაღალი
West arm, South Wall

ტაგეცა / LEGEND ფერადი ფენა / Paint layer:

ნაღასობის ფენა / Plaster Layer:	ფერადი ფენა / Paint layer:
სრული დაწკარგვა Full loss	სრული დაწკარგვა Full loss
ნაწილობრივი დაწკარგვა Partial loss	ნაწილობრივი დაწკარგვა Partial loss
ზხარი Crack	გაფუფრება Decohesion
ღია განწრეგება: Open delamination (Between primary support and plaster layer)	აბურცვა Blistering
ღია განწრეგება: Open delamination (Between plaster layers)	აქურცული Flaking
დახურული განწრეგება: Closed delamination	საღებავის წამიდგება Washed drips of paint
გაფუფრება Decohesion	ბამგბრეგება / Salts:
ქვედა სქემა - ზედა ნაღასობის დაწკარგვა სრულად Lower scheme - loss of upper plaster layer	მარღის ქერქი Salt crust
	მარღის ქერქ ფრეგმენტულად Patchy salt crust
	წერტილოვანი კრისტალოზიდა Crystalline dots
	ნაფოქი Flakes
	ნაფოქი ფრეგმენტულად Patchy flakes
	თეთრი ღვაცა White haze


გრაფიკული დოკუმენტაცია / Graphic Documentation

ხატის მხატვრობის დაზიანების რუკა

Wall painting condition map

ფერადი ფენა


Paint layer



გათათის სამონასტრო
ქოგვლასი ტვთისგობლის
შობის ტაძარი

Church of the Nativity of
Virgin Mary

სამხრეთის ჰრილი
South section



დასავლეთი გლავი, სამხრეთის ხატული
West arm, South Wall

ტკბედა / LEGEND ფერადი ფენა / Paint layer:

ნაღსოვის ფენა / Plaster Layer:	ფერადი ფენა / Paint layer:
სრული დაწკარგვა Full loss	სრული დაწკარგვა Full loss
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წილობრივი დაწკარგვა Partial loss
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	გაფუჭდება Decohesion
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	პრეტყვა Eslistering
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	პრეტყვა Flaking
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	საღებების ჩამოვრცხვა Washed drips of paint
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	ბაგომბრევაბა: / Salts:
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	მარღის ქრქვი Salt crust
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	მარღის ქრქვი ფრეზირულად Patchy salt crust
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წერტილოვანი კრისტალოიდა Crystalline dots
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წილობრივი დაწკარგვა Decohesion
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წილობრივი დაწკარგვა Flakes
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წილობრივი დაწკარგვა Patchy flakes
წილობრივი დაწკარგვა Partial loss	წილობრივი დაწკარგვა White haze



გრაფიკული დოკუმენტაცია / Graphic Documentation

ხატის მხატვრობის დაზიანების რუკა

Wall painting condition map

ბარიუმი


Salts



გათათის სამონასტრო
ქოგვლაქსი ტვთისგოგოლის
გოგის ტაძარი

Church of the Nativity of
Virgin Mary

სამხრეთის ჳრილი
South section



დასავლეთი ბლაჳი, სამხრეთის ხალოლი
West arm, South Wall

ლაგაგა / LEGEND

დასავლეთის ფენა / Plaster Layer:	ფერადი ფენა / Paint layer:
სრული დაწკარგე Full loss	სრული დაწკარგე Full loss
ნაწილობრივი დაწკარგე Partial loss	ნაწილობრივი დაწკარგე Partial loss
ნაწილობრივი დაწკარგე Partial loss	გაფუფრება Decohesion
ჳხარი Crack	ბურცე Blistering
და გაწვევა Open delamination (Between primary support and plaster layer)	აქრული Flaking
და გაწვევა Open delamination (Between plaster layers)	საღებავის წამრცეგა Washed drips of paint
დახურული გაწვევა Closed delamination	ბაგომბრეგა: / Salts:
გაფუფრება Decohesion	მარლის ქრუსტი Salt crust
ქვედა სქემა - ჳედა წალქსობის დაწკარგე სრული Lower scheme - loss of upper plaster layer	მარლის ქრუსტი ფრეგმენტული Patchy salt crust
	წერტილოვანი კრისტალოიდა Crystalline dots
	ნაფუქი Flakes
	ნაფუქი ფრეგმენტული Patchy flakes
	თეთრი დაწკ White haze